**საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია**

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №66/143

2017 წლის 7 სექტემბერი ქ. თბილისი

**საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში განსახილველ ზოგიერთ განცხადებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში - კომისია) საჯარო სხდომაზე განიხილა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის" მიმართ მოქალაქე დალი ბაჩალიაშვილის (რეგისტრაციის №11421/01. 14.08.2017წ), მოქალაქე თემურ შავაძის კუთვნილი ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" (რეგისტრაციის №11539/01. 17.08.2017წ), კოოპერატივი „რკ კოპაძის" სარგებლობაში არსებული ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" (რეგისტრაციის №11541/01. 17.08.2017წ), მოქალაქე ბესიკ კურბანოღლის საკუთრებაში არსებული ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" (რეგისტრაციის №11623/01. 21.08.2017წ), მოქალაქე მაია ასანიძის კუთვნილი ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" (რეგისტრაციის №11725/01. 23.08.2017წ), მოქალაქე თინათინ სიდოროვას კუთვნილი ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" (რეგისტრაციის №11726/01. 23.08.2017წ), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (რეგისტრაციის №11828/01. 25.08.2017წ), შპს ,,კიკვიძე 1"-ის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" მიმართ (რეგისტრაციის №11897/01. 29.08.2017წ), შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის" მიმართ მოქალაქე ნინო ივანაშვილის (რეგისტრაციის №11833/01. 29.08.2017წ), შპს ,,ქართველის" კუთვნილი ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" (რეგისტრაციის №12020/01. 30.08.2017წ), მოქალაქე ლევან კახაძის კუთვნილი ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „თელასის" (რეგისტრაციის №12104/01. 01.09.2017წ), სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მიმართ მოქალაქე ალექსი ზავგოროდნის (რეგისტრაციის №12115/01. 04.09.2017წ), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" მიმართ სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის (რეგისტრაციის №12138/01. 04.09.2017წ) განცხადებათა

თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის ვადის განსაზღვრის საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ განცხადებებთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის საჭიროა განცხადებათა დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვა, გამოკვლევა და შეფასება, რაც დამატებით დროს მოითხოვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

,,ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე, კომისიამ

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ მოქალაქე დალი ბაჩალიაშვილის განცხადებასთან (რეგისტრაციის №11421/01. 14.08.2017წ) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 14 ნოემბერი.
2. მოქალაქე თემურ შავაძის კუთვნილი ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ განცხადებასთან (რეგისტრაციის №11539/01. 17.08.2017წ) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 17 ნოემბერი.
3. კოოპერატივი „რკ კოპაძის“ სარგებლობაში არსებული ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ განცხადებასთან (რეგისტრაციის №11541/01. 17.08.2017წ) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 17 ნოემბერი.
4. მოქალაქე ბესიკ კურბანოღლის საკუთრებაში არსებული ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“

განცხადებასთან (რეგისტრაციის №11623/01. 21.08.2017წ) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 21 ნოემბერი.

5. მოქალაქე მაია ასანიძის კუთვნილი ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" განცხადებასთან (რეგისტრაციის №11725/01. 23.08.2017წ) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 23 ნოემბერი.
6. მოქალაქე თინათინ სიდოროვას კუთვნილი ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" განცხადებასთან (რეგისტრაციის №11726/01. 23.08.2017წ) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 23 ნოემბერი.
7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადებასთან (რეგისტრაციის №11828/01. 25.08.2017წ) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 25 ნოემბერი.
8. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" მიმართ შპს ,,კიკვიძე 1"-ის განცხადებასთან (რეგისტრაციის №11897/01. 29.08.2017წ) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 29 ნოემბერი.
9. შპს „ყაზტრანსგზას თბილისის" მიმართ მოქალაქე ნინო ივანაშვილის განცხადებასთან (რეგისტრაციის №11833/01. 29.08.2017წ) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 29 ნოემბერი.
10. შპს „ქართველის" კუთვნილი ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" განცხადებასთან (რეგისტრაციის №12020/01. 30.08.2017წ) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 30 ნოემბერი.
11. მოქალაქე ლევან კახაძის კუთვნილი ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „თელასის" განცხადებასთან (რეგისტრაციის №12104/01. 01.09.2017წ) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 1 დეკემბერი.
12. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მიმართ მოქალაქე ალექსი ზავგოროდნის განცხადებასთან (რეგისტრაციის №12115/01. 04.09.2017წ) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 4 დეკემბერი.
13. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" მიმართ სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის განცხადებასთან (რეგისტრაციის №12138/01. 04.09.2017წ) დაკავშირებით ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 4 დეკემბერი.

14. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საჩივრის წარმდგენ პირებს.
15. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
16. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, #6), მისი გამოცხადებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი